ჩემპიონატი

როგორ მოიგო მატჩი "დინამომ"

(მოსკოვი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

13 ოქტომბერს მოსკოვში შემოდგომის მზიანი ამინდი იდგა. "დინამოს" უზარმაზარი სტადიონი ადრევე აივსო მაყურებლებით. დღის პირველ საათზე მათი რიცხვი 80 ათასამდის აღწევდა.

ფეხბურთის გულშემატკივარნი, საბჭოთა სპორტით გატაცებული ადამიანები ამ დღის ცენტრალური მატჩისაგან – **მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს"** შეხვედრისაგან მოელოდნენ მწვავე, საინტერესო, დაძაბულ ბრძოლას. მათს შეხვედრაზე ბევრად იყო დამოკიდებული პირველობის გათამაშების ცხრილში მოსკოვის ცდკა–ს, "დინამოსა" და "სპარტაკის" ლიდერობის მომავალი შანსები.

სრული ორი საათია. მსაჯი საშენკო მოედანზე უხმობს ტყავის ბურთის ოსტატებს. პირველად გამორბიან დინამოელები, მათ წინ მიუძღვის გუნდის სული და გული ბ. პაიჭაძე. დინამოელთა შემადგენლობაში არიან: ტყებუჩავა, პეხლივანიდი, კიკნაძე, ბერძენიშვილი, ფროლოვი, ჭელიძე, ჯეჯელავა, ჩერედნიჩენკო, ბერეჟნოი და პანიუკოვი. თბილისელებს მწყობრად მოსდევენ გასული წლის ჩემპიონები – სპარტაკელები.

დაიწყო თამაში. სპარტაკელები მწყობრი იერიშებით შეიჭრნენ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე და შექმნეს მთელი რიგი სახიფათო მომენტები. "დინამოს" თავდამსხმელები ენერგიულად იბრძვიან საპასუხო კონტრშეტევისათვის, მაგრამ ვერ ახერხებენ კოლექტიური თამაშის შექმნას. სამაგიეროდ, მეკარე ტყებუჩავას დროული გამოსვლა, ფროლოვის მიერ საჯარიმო მოედნის ცენტრის დახურვა და ბერძნიშვილის ვირტუოზული თამაში უვნებელს ხდიან "სპარტაკის" მოძალებულ იერიშებს.

31–წუთიანმა ბრძოლამ უშედეგოდ ჩაიარა. მდგომარეობა ანგარიშის მხრივ უცვლელია – 0:0. კიდევ ერთი წუთი და კვლავ სახიფათო მომენტია დინამოელთა კართან. გლაზკოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ხვდება კარის ბოძს და მოედანს უბრუნდება. დამატებით ურტყამს სემიონოვი. პირველი ბურთი თბილისელთა კარის ბადეშია.

ტაიმი დამთავრდა 1:0 "სპარტაკის" სასარგებლოდ.

სულ სხვა სურათი გადაიშალა მაყურებელთა წინაშე მეორე ტაიმში. ყველანი განცვიფრებული არიან თბილისელთა თავბრუდამხვევი იერიშებით. თამაში განუწყვეტლივ "სპარტაკის" კარის წინ მიმდინარეობს. "დინამოს" თავდამსხმელთა მიერ ადგილების გადანაცვლებამ, ლამაზმა კომბინაციურმა თამაშმა და ყუმბარისებურმა დარტყმებმა დააბნიეს მოწინააღმდეგეები.

"სპარტაკი" თითქმის პანიკამ შეიპყრო. ყველა თავდამსხმელი დაცვაზე გადავიდა. ჩემპიონის ამ ძველმა ტაქტიკამ ამჯერად ვერ პოვა გამართლება. 25-ე წუთზე სპარტაკელებმა ჯეჯელავას ძლიერი კუთხური გარტყმით მიიღეს პირველი ბურთი. ანგარიშია – 1:1.

თამაში კვლავ თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობს. "სპარტაკის" კარი პაიჭაძისაგან განუწყვეტლივ "ბომბარდირებას" განიცდის. მეკარე აკიმოვმა აიღო თითქმის ყოველმხრივ უიმედო რამდენიმე ბურთი.

35-ე წუთზე მატჩის ბედი გადაწყდა. პაიჭაძის, ჯეჯელავასა და პანიუკოვის კომბინაცია დაგვირგვინდა ბერეჟნოის ზუსტი გარტყმით და გოლით.

სეზონის ეს ყველაზე საინტერესო მატჩი დამსახურებულად მოიგო თბილისის “დინამომ” ანგარიშით – 2:1.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 15 ოქტომბერი, 1940 წ.